

# დილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტი–აპრილი
1996 წელი

F-343
1996



# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე

# ანთოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხური პოეზია

### ვახტანგ მეფე

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...



### მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
მუმლი წუდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო.
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამმიმდაო,
წყალში ჩავარდაო,
წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო,
მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო,
მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.

### ჩვენი ბატონი ერეკლე

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კაცია;
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გაცია.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

# ნათლობის საიდუმლო

ჩვენ, ქართველები, ქრისტიანები ვართ. ქრისტიანი რომ გახდე, უნდა მოინათლო. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანი მონათლულია, მაგრამ არ იცის რას ნიშნავს ნათლობა, არ იცის, რას ნიშნავს იყო ქრისტიანი. მოდით, ერთად გავარკვიოთ...

ყველა ადამიანს ჰყავს დედა და მამა. შეიძლება გეგონოთ, რომ მხოლოდ თქვენ, პატარა ბავშვებს, გყავთ დედ-მამა, თქვენს ბებიებსა და ბაბუებს კი არა, მაგრამ იმათაც ჰყავდათ დედ-მამა, იმათ დედ-მამას კიდევ თავისი, იმათ კიდევ თავისი და ასე მრავალზე მრავალი თაობა გამოიცვალა მას მერე, რაც პირველი დედ-მამა, ადამი და ევა გაჩნდა ამქვეყნად. მაგრამ საიდან გაჩნდნენ ადამი და ევა. ნუთუ მათ არ ჰყავდათ მშობელი? ადამის და ევას მშობელი იყო ღმერთი, ყოვლისშემძლე სული, რომელმაც შექმნა ყველაფერი რაც კი არსებობს – ცა, ანგელოზები, ვარსკვლავები, დედამიწა, მცენარეები, ცხოველები და ბოლოს ადამიანი. ეს სამყარო, ეს ყველაფერი ღმერთმა ადამიანს შეუქმნა, ადამიანს აჩუქა, რადგან ღმერთს ყველაზე მეტად ადამიანი უყვარს, იგია მისი შვილი.

თავდაპირველად, ადამი და ევა – ისევე როგორც თქვენ, ბავშვები, ცხოვრობთ თქვენს მშობლებთან ერთად ერთ სახლში – ცხოვრობდნენ ღმერთთან ერთად ერთ სახლში, ანუ ერთ ქვეყანაში, მშვენიერ ბაღში, რომელსაც სამოთხე ერქვა. ამ ქვეყნის პატრონად ღმერთმა რომელიმე ანგელოზი კი არ დაადგინა, არამედ თვით ადამიანი. ადამიანს უნდა მოევლო და ეპატრონა თავისი ქვეყნისათვის.

მაგრამ ადამიანი ეურჩა თავის მამას - ღმერთს, არ ინდომა მასთან ერთად ყოფნა, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამოთხე და მარტო დაეწყო ცხოვრება. ამან მისთვის სავალალო შედეგი გამოიღო. წარმოიდგინეთ პატარა ბავშვი, რომელმაც დაკარგა თავისი მშობლები და სახლი და უცხო მხარეში მოხვდა მარტო, რამდენად ცუდად იგრძნობს თავს. ასევე ადამიანმაც დაკარგა თავისი სახლი, ღმერთი და მრავალი უბედურება შეემთხვა, თავს დაატყდა სიცივე, შიმშილი, ავადმყოფობა, მარტოობა, მწუხარება, სიკვდილი. ადამიანს ისე აებნა გზა, რომ ვერც თავისი სახლი იპოვა და ვერც თავისი მშობელი – ღმერთი. ისევ ღმერთს შეეცოდა საბრალო ადამიანი, აპატია უმადურობა, მიიღო ადამიანის სახე, იესო ქრისტეს სახე, მივიდა მასთან და ასწავლა ღმერთთან დასაბრუნებელი გზა, იმ ქვეყნის გზა, სადაც ადამიანები აღარასოდეს მოკვდებიან, დაიბრუნებენ თავის მეფობას, ეყვარებათ ერთმანეთიც, ღმერთიც და ყველანი ერთად იცხოვრებენ ბედნიერად.

მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ თვითონ ადამიანი მიხვდეს, როგორი საშინელი შეცდომა დაუშვა, როცა ღმერთი მიატოვა... მოინდომოს საკუთარ ქვეყანაში, თავის სულიერ სამშობლოში დაბრუნება და ღმერთს პატიება სთხოვოს. ეს გზა, უკან დასაბრუნებელი გზა, იწყება ნათლობით. მოინათლო – ნიშნავს გახდე ქრისტიანი, ანუ იცხოვრო ისე, როგორც იცხოვრა ქრისტემ. ქრისტეს ცხოვრება აღწერილია სახარებებში. ამ წმინდა წიგნებს, სახარებებს, ბიბლიას, თქვენ უეჭველად წაიკითხავთ თავის დროზე.

თქვენ, შესაძლოა, გინახავთ, როგორ ნათლავს მღვდელი ეკლესიაში ბავშვს, ან იქნებ, საკუთარი ნათლობაც გახსოვთ.

ნათლობისას ჩვენ გაგვბანენ წყლით. ეს წყალი არ არის ჩვეულებრივი წყალი. ჩვეულებრივი წყალი გვაცილებს ჭუჭყს ხელებიდან, პირიდან, სხეულიდან, ხოლო ნათლობის წმინდა, ნაკურთხი წყლით ჩვენ ჩამოგვებანება სულ:ის ჭუჭყი. სულის ჭუჭყი არის ცოდვა. ცოდვა კი არის ღმერთის გარეშე ცხოვრება ან საერთოდ რაიმეს კეთება ღმერთის გარეშე. ღმერთთან ერთობა კი შესაძლებელია ლოცვით, ზიარებით, მცნებების დაცვით.

შემდეგ ჩვენ გვაცხებენ მირონს შუბლზე, გულზე, ხელებსა და ფეხებზე. მირონი სურნელოვანი ზეთია. ის ნათლობის წყალივით არ არის ჩვეულებრივი. მისი მომზადებისას მღვდელმთავრები რამოდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლივ აღავლენენ ლოცვებს. მირონს ქრისტემდე მხოლოდ მეფეებსა და წინასწარმეტყველებს აცხებდნენ ხოლმე. ქრისტემ კი ყველა



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

f-6293



ქრისტიანს მიანიჭა მირონის ცხების უფლება. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ გავხდით უფლისწულები ანუ ღმერთის შვილები. უფალს ხომ ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, წული კი შვილს ნიშნავს. სწორედ ამიტომაც განვიბანეთ ნათლობის წყლით, უფლისწული არ შეიძლება იყოს ბინძური და დაუბანელი.

ამიერიდან ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, და როგორც უფლისწულებს, გვეძლევა უდიდესი საჩუქარი – სულიწმიდის მადლი. მადლი ღვთიური განსაკუთრებული ძალაა. ძალა კეთილი საქმეების კეთების, სიყვარულის, მადლიერების, სიხარულის. მადლი ისეთი რამაა, რომ შეიძლება გავაბევროთ, გავამრავლოთ და სხვასაც გავუნაწილოთ, ან შეიძლება ტყუილად დავხარჯოთ და დავკარგოთ. თუ ჩვენ გვიყვარება არა მარტო ჩვენი მშობლები და ახლობლები, არამედ ყველა ადამიანი ჩვენს გარშემო, მადლი სხვასაც გადაეცემა და ყველა მადლიერი დაგვრჩება.

მადლი ღვთიური სინათლეა, რომლითაც ჩვენი სული გაბრწყინდება ნათლობისას. ისევე როგორც მზის სინათლე ანათებს, ათბობს და სიცოცხლეს ანიჭებს ყველას და ყველაფერს, ასევე ღვთიური სინათლე სიცოცხლეს ანიჭებს ჩვენს სულსა და ცხოვრებას. თვით სიტყვა – ნათლობა ამ ნათლით აღვსებაზე მიგვანიშნებს.

ბოლოს მღვდელი ახლადმონათლულს გულზე ჯვარს ჩამოჰკიდებს იმის ნიშნად, რომ ქრისტემ ჯვარით დაამარცხა ცოდვა და სიკვდილი, და რომ ყველა ქრისტიანი ასევე ჯვრის მეშვეობით ებრძვის ბოროტებას.

ნათლობის წყლით განბანვას, მირონის ცხებას და მთელ იმ მოქმედებას, რომელსაც ამ დროს მღვდელი ასრულებს, წმიდა საიდუმლო ეწოდება. საიდუმლო იმას კი არ ნიშნავს, რომ ვიღაცა რაღაცას გვიმალავს, არამედ იმას, რომ ამ დროს ხდება სასწაული, ადამიანის სასწაულებრივი გარდაქმნა, რომლის ჩვეულებრივი გონებით გაგება შეუძლებელია.

ღმერთი ნათლობისას კიდევ ერთ საჩუქარს გვიგზავნის. ესაა ჩვენი მფარველი ანგელოზი. ანგელოზები ღმერთის მსახური და ადამიანის მეგობარი გონიერი სულები არიან. ანგელოზი გვიცავს სხვადასხვა ხიფათისა და უბედური შემთხვევისაგან, გვამხნევებს და ძალას გვმატებს ავადმყოფობისას, გაჭირვებისას. ანგელოზის ჩვეულებრივი თვალით დანახვა ან ყურით მოსმენა შეუძლებელია, სამაგიეროდ შეიძლება მისი გულით შეგრძნება და გონებით გაგება. ისევე, როგორც ჩვენ ვერ ვხედავთ ღმერთს, მაგრამ ვგრძნობთ, ვიცით და გვწამს, რომ ის არსებობს.

ანგელოზი იმდენად ზრუნავს ჩვენზე და გვეხმარება, რამდენადაც ჩვენ თვითონ ვცდილობთ ვიცხოვროთ ქრისტიანულად. თუ ჩვენ ვიქნებით ჯიუტები და ზარმაცები, მოჩხუბარები და შურიანები, გაუგონრები და უმადურები, თუ არ გვეყვარება ღმერთი და არ გვემახსოვრება ჩვენი მფარველი ანგელოზი, მაშინ მას ძალიან გაუჭირდება ჩვენი დახმარება და შველა.

ყველა მონათლულ ბავშვს და, ალბათ, თქვენც გყავთ თქვენი ნათლია. ნათლია სულიერი მშობელია, რომელმაც უნდა აგიხსნათ და გასწავლოთ, როგორ უნდა იცხოვროთ ქრისტიანულად.

მხოლოდ ნათლობის შემდეგ შეიძლება გავუდგეთ ქრისტეს მიერ დასახულ ცხოვრების გზას. ეს გზა იწყება ამქვეყნად და გრძელდება გარდაცვალების შემდეგ, მარადისობაში. გარდაცვალებით სიცოცხლე კი არ მთავრდება, არამედ ახალ სიმაღლეზე ადის. ამ გზაზე მრავალი სირთულე, განსაცდელი და თავგადასავალი მოგველის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლისწულები ვართ, უნდა დავიბრუნოთ ჩვენი დაკარგული ქვეყანა და არაფრით არ უნდა გადავუხვიოთ ამ გზიდან, არც არაფრისა უნდა შეგვეშინდეს, რადგან ჩვენთან ერთად იქნება ჩვენი მფარველი ანგელოზი და რაც მთავარია, ღმერთი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელსაც ყველაზე მეტად ვუყვარვართ, და რომელიც ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე და გვიფრთხილდება.

თქვენ, ალბათ, მრავალი კითხვა დაგებადათ. მაგალითად, როგორ დატოვეს ადამმა და ევამ სამოთხე, თავისი სამყოფელი სახლი, ან როგორ დაამარცხა იესო ქრისტემ სიკვდილი და ცოდვა ჯვრის საშუალებით, ან კიდევ რა არის აღწერილი სახარებებში და როგორ უნდა ვიცხოვროთ ქრისტიანულად, რა არის ლოცვა, ზიარება, რა არის სინანული და აღსარება, რა არის გარდაცვალება და უამრავი სხვა რამ... ამაზე შემდეგ ვისაუბროთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ კუხიანიძე

## ბავშვების მადლობა

ვენაცვალე ბაბუ მურადს,
გვერდში გვიდგას ვაჟკაცურად,
გამოგვიცა ბავშვებს "დილა",
მკლავი გაიმამაცურა.
გააკეთა რაც კეთილად,
სხვებს ჰქონოდეს გაკვეთილად.
თუ დავჭირდა, სამფუთიან
ლოდსაც ჩვენთვის ცივ-ცივ ასწევს...
გაუმარჯოს კაცს ხუთიანს –
ბაბუ მურად წივწივაძეს!



## კნუტი

კოხტა ნატა კატას ხატავს.
უყურადებს ბაბთას, ფატას...
უცებ კნუტი მოცუნცულდა:

შემოვყვე ნატასაო,
ღუდის ხატვას რომ მო
მერე მე დამხატავსო.



მხატვარი ნანა ჟურღულია

ირაკლი ლომოური

მხატვარი ომარ ჩუზინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოტე, კატო და კლაპიტონი გაუგონართა ქვეყანაში

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბიჭი კოტე. ცუდი ბიჭი არ ეთქმოდა, მაგრამ ცოტა არ იყოს, გაუგონარი და თან ღორმუცელა გახლდათ.

ერთ მშვენიერ დილას დედამ უთხრა:

– დღეს მამაშენის დაბადების დღეა, სკოლიდან რომ დაბრუნდები, მიულოცე, მოეხვიე და აკოცე, მერე სტუმრებიც მოვლენ და გემრიელად მოვულხენთო! – და ნაირ-ნაირი კერძებით სავსე კარადაში შეახედა. რა გინდა სულო და გულო, იქ რომ არ ყოფილიყო: საცივი და შემწვარი გოჭი, ხაჭაპურები და ღვეზელები, ნამცხვრები და ლიმონათები! ამის დანახვაზე კოტეს სუნთქვა შეეკრა, თვალები აუციმციმდა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ენა გააწკლაპუნა, მაგრამ დედამ რატომღაც ვერაფერი შეატყო, კარადის კარი ცხვირწინ მიუხურა და უთხრა:

– სკოლაში გაგვიანდება, გაემზადეო!

კოტემ ნერწყვი გადაყლაპა, ჩანთა ზურგზე მოიგდო, დედას ხელი დაუქნია და სახლიდან გავიდა, მაგრამ თვალწინ ისევ საჭმელებით სავსე კარადა წარმოუდგა, სულმა წასძლია, ცდუნებას ვერ გაუძლო და თქვა:

– მხოლოდ გემოს გავსინჯავ, თითო ლუკმას შევჭამ, მეტს არაო!

სახლ'ს უკნიდან მოუარა, ღობეზე გადავიდა და ფანჯრიდან შეძვრა. გაიხედ-გამოიხედა, კარადის კარი ფრთხილად გამოაღო, ჯერ ერთი კერძი გასინჯა, მერე მეორე. ცოტა ხანი იდგა, სიამოვნებისაგან კრუტუნებდა და ტუჩებს ილოკავდა. ისევ გააღო კარი, ერთი ჭიქა ლიმონათი დალია, მესამე კერძი გასინჯა, მეოთხე, მერე ისევ პირველი, და ასე ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა ყველაფერი შემოეჭამა. როცა მიხვდა, რაც გააკეთა, გვიანღა იყო. შეშინდა კოტე, ფანჯრიდან ხვნეშა-ხვნეშით გადაიპარა, შარაგზაზე გავიდა და ქვაზე ჩამოჯდა დამწუხრებული.

ამ დროს ჩამოიარა ჯადოქარმა, დაინახა კოტე და ჰკითხა:

– რამ დაგაღონაო?

კოტემ უპასუხა:

– დღეს მამაჩემის დაბადების დღეა, დედამ გემრიელი საჭმელები მოამზადა. მე კიდევ ჩემდაუნებურად შემომეჭამა, არც სკოლაში წავედი, და ახლა რა ვქნა, არ ვიციო.

ჯადოქარმა სიხარულით ტაში შემოჰკრა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

– სწორედ შენისთანა ყოჩაღ და გაბედულ ბიჭებს ვეძებ, ჩემთან წამოდი, გაუგონართა ქვეყანაში, რასაც გინდა, გაჭმევ და გასმევ, აღარც სკოლაში ივლი, ვეღარც მშობლები დაგსჯიან და მთელ ცხოვრებას ცეკვა-თამაშში გაატარებო!

გაჰყვა კოტე ჯადოქარს. ჯადოქარმა მფრინავი ხალიჩა გაშალა, შემოასხდნენ და თვალის დახამხამებაში ჩაფრინდნენ გაუგონართა ქვეყანაში. გაუგონართა ქვეყანა პატარა იყო, მაგრამ უზარმაზარი კედელი ჰქონდა შემოვლებული ციხე-სიმაგრესავით. ქვეყნის შუაგულში ქალაქი იყო, სადაც გაუგონარი ბავშვები ცხოვრობდნენ, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, ზოგი მხართეძოზე იყო გაგორებული და ბუზებს ითვლიდა, ზოგი ყირაზე გადადიოდა და ზოგიც შურდულმომარჯვებული ფანჯრებს ლეწავდა. იყო ერთი გნიასი და ღრიანცელი. ზოგი ყვიროდა, ზოგი ჭყიოდა, ზოგიც ბღაოდა და ზოგიც ჩხაოდა. ჯადოქრის დანახვაზე კი ყველა გაისუსა.

ჯადოქარმა კოტეს უთხრა:

– რაც უფრო ცუდად მოიქცევი, მით უფრო გემრიელ შემწვარ-მოხრაკულებსა და ქადანაზუქებს მიიღებ და როცა გაიზრდები, ჩემს ჯარში ჩაგწერო! – და კოტეს ვეებერთელა "სნიკერსი" გაუწოდა. კოტემ შოკოლადს ხელი დასტაცა და ბავშვებისაკენ გაქანდა. ვიღაც ბიჭმა ფეხი დაუდო, წააქცია, "სნიკერსის" წართმევა მოუნდომა. სხვებიც მისცვივდნენ და გაიმართა ზედახორა.

ჯადოქარმა ხელები მოიფშვნიტა კმაყოფილებით და სასახლეში შეიკეტა.

... კოტე-ბიჭი ცელქობდა და ანცობდა, ანცობდა და გიჟობდა, მაგრამ როცა ბურთის თამაში მოინდომა, დიდმა ბიჭმა ბურთი წაართვა და თავშიც წაუთაქა; როცა დამალობანას თამაში მოინდომა, მოატყუეს, ბნელ სარდაფში ჩაკეტეს და დატოვეს, მთელი დღე იყურყუტა და ძლივს გამოაღწია საღამოს; როცა ვახშმობდა, ჩაიში მარილი ჩაუყარეს, ნამცხვარს კი ტყემალი დაასხეს. როცა ლოგინში ჩაწვა, ღრიალი მორთო, უკან ისკუპა და იატაკზე მოადინა ზღართანი – მის საწოლში ვიღაცას ზღარბების მთელი ოჯახი ჩაესვა!

ასეთ გართობაში გადიოდა დღეები... კოტეს უნდოდა ბავშვებთან თამაში, დამეგობრება, მაგრამ გაუგონართა ქვეყანაში ბავშვებმა მხოლოდ საკუთარ თავთან იცოდნენ თამაში, როდესაც ერთად დააპირებდნენ რაიმეს, ერთმანეთს მაშინვე ან პწკენას უწყებდნენ, ან მუჯლუგუნების ცემას, ან თმების წიწკნას, და ყველაფერი დიდი აყალმაყალით მთავრდებოდა. ამიტომ ყველა ერთმანეთს ემდურებოდა და ებუტებოდა. სამაგიეროდ არც გაკვეთილების მომზადებას სთხოვდა ვინმე, არც წიგნების კითხვას, მთელი დღეები ტელევიზორში მულტფილმებს უჩვენებდნენ, ყოველ ნაბიჯზე ნაირნაირი კანფეტები და კევები იყო დახვავებული, ნაყინის გორები იდგა და შოკოლადის მთები, „კოკა-კოლების" შადრევნები ამოსჩქეფდა და „პეპსი-კოლების" ჩანჩქერები გადმოედინებოდა.



ერთხელაც, ასეთი დროსტარებისაგან გაბრუებული კოტე ქალაქიდან გამოვიდა და მდინარის პირას ჩამოჯდა. იქვე, შორიახლოს, პატარა გოგო შენიშნა. გოგო მუხლებში თავჩარგული იჯდა და უხმოდ ტიროდა. კოტე მიეპარა და ისე, რომ არც დაფიქრებულა, ნაწნავზე დაქაჩა მთელი ძალით. გოგომ საწყლად ახედა შეშინებულმა, მაგრამ არაფერი უთხრა და ისევ მუხლებში ჩარგო თავი. კოტემ ცხვირი გააქსუტუნა, ფეხსაცმლის ჭვინტით

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიწაზე რაღაც მიხაზ-მოხაზა, გოგოს გვერდით ჩამოუჯდა და ჰკითხა:

– რა გატირებსო?

– სახლში მინდაო, – უპასუხა გოგონამ ჩუმად.

კოტეს გაეცინა:

– რა შტერი ყოფილხარ, აქ ცხოვრებას რა სჯობიაო?!

გოგომ თვალებში შეხედა:

– არ მოგბეზრდა ეს უსაქმურობა და აურზაური?

კოტე ჩაფიქრდა. გოგომ გააგრძელა:

– დედა მომენატრა, აქ არავის ვჭირდები და არავინ მეფერება... ნეტავი ამსვა, დამსვა და სახლში ჩამსვა, დედიკოს არასოდეს აღარ გავაჯავრებო...

და ისევატირდა.

– შენ რა გქვიაო? – ჰკითხა კოტემ.

– კატოო – მიუგო გოგომ ზლუქუნით.

– იცი რა, კატო, – უთხრა კოტემ - მივიდეთ ჯადოქართან და ვთხოვოთ სახლებში დაგვაბრუნოს, აღარც მე მინდა აქ ყოფნაო...

მივიდნენ ჯადოქართან.

– რაზე შეწუხებულხართო? – ჰკითხა ჯადოქარმა.

– სახლში გაგვიშვიო, – სთხოვა კოტემ.

ჯადოქარი გაწყრა.

– თქვე ბრიყვებო, სახლში რა გინდათ, აქ რა გაკლიათო?!

– სახლში გვინდა, სახლშიო... – ერთხმად ამოიღუღლუღეს ბავშვებმა.

განრისხდა ჯადოქარი:

– უმადურები ყოფილხართ და უსინდისოები. არაფერს გიშლით, გაჭმევთ და გასმევთ, მეტი რაღა გინდათ, თქვე მუდრეგებოო!

კოტემ შეჰბედა:

– თუ არაფერს გვიშლით, სახლში დაბრუნებასაც ნუ დაგვიშლითო!...

– ესენი ავად არიან, გაგიჟებულან, კაცი თავის ბედნიერებას გაურბოდეს, სად გაგონილაო?! – აფეთქდა ჯადოქარი, – ეხლავე სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დილეგში მოათავსეთ, ყოველდღე თითო ვედრო „კოკაკოლა" ასვით, და ოც-ოცი კილო შოკოლადი აჭამეთ, იქნება ჭკუაზე მოვიდნენ და გონს მოეგონო!

გამოკეტეს კოტე და კატო ერთ მაღალ კოშკში, ცალ-ცალკე საკნებში. ჯადოქარი ყოველდღე თავისი ფეხით მიდიოდა, მათ თვალწინ კარაქიან პურსა და ყველს შეექცეოდა და ეკითხებოდა:

– იქნებით ცუდები თუ მაინც სახლში გინდათ დაბრუნებაო?

კოტემ ითმინა, ითმინა და ბოლოს უთხრა:

– ვიქნები ცუდი, ოღონდაც აქედან გამომიშვითო!

გამოუშვეს კოტე. კატო კი არ ტყდებოდა:

– ცუდი აღარა ვარ და აღარც ვიქნებიო!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელ ჭანტურია

# ხატაურა

ვიჯექით და ვსაუბრობდით,
ჩვენი ბუხრის კატა კი:
– მიავ! მიავ! – კრუსუნებდა,
როგორც მშიერ-ღატაკი!

ვსვამდით ჩაის, ვჭამდით კრენდელს,
საცოდავი კატა კი:
– მიავ! მიავ! – ქადაგებდა,
როგორც კარგი ქადაგი!

მიაშურეს სამსახურებს –
დღე დაიწყო სადაგი.
მუშაობდნენ, რაც შეეძლოთ,
ჩვენი ბუხრის კატა კი...

სადღაც, ბებოს შენახული,
მიეკვლია ბადაგი!
აღარ იყო ჩვენი ფისო
მშიერი და ღატაკი!





ემზარ კვიტაიშვილი

# თამაშს გადაყოლილი



ჩემს ბიჭუნას გავმახი:
მამიკონა, მამუსი,
მთელი დღე რომ თამაშობ,
სად დაკარგე ნამუსი?!

როგორც ვერ შეედრება
თურაშაულს მაჟალო,
ისე, ბეჯითს ცუღლუტი,
გიჯობს, წიგნი გაშალო.

წაიკითხე ზღაპრები
ან გამოსჭერ კოლაჟი –
რა ამბებით ჩაგრიცხეს,
გახსოვს, პირველ სკოლაში?



მხატვარი ნანა ჭურღულია

# გილოცავთ დაბადების დღეს



რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს სანდრო ლომთაძეს (თბილისი), ეთუნა ინწკირველს (ოზურგეთი), ანდრო გოგიჩაიშვილს (მოსკოვი), დათა ლაფაურს, ნანიკო ვაჩნაძეს, ელენე ვეკუას (თბილისი), გიორგი გოგიჩაიშვილს (მოსკოვი), სალომე ინწკირველს (ოზურგეთი) და თათია გოგიბერიძეს (ქუთაისი).

მშობლების საყურადღებოდ! თუ გსურთ თქვენი პატარა ჩვენს საზეიმო სუფრასთან იხილოთ, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე. რადგან ყოველგვარ ზეიმს თავისი მოსამზადებელი დროც აქვს. დაგვირეკეთ 93-10-32.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლალი ლომთაძე

ვიწყებთ წერილების სერიალს ბავშვის ფსიქოლოგიისა და აღზრდის საკითხებზე. ჩვენი კონსულტანტია საქართველოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აღზრდის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ყიფიანი. მასთან ერთად რუბრიკისათვის მასალებს მოამზადებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინე გოგავა და ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარინა ლომოური.

# მივაღწიოთ ურთიერთგაგებას

ბავშვის აღზრდა მეტად რთული და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა. ჩვენ, უფროსებს, ბავშვისათვის მხოლოდ სიკეთე გვინდა, თითქმის ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩვენი შვილი ყოველმხრივ სამაგალითო გაიზარდოს – წესიერი, დამჯერი, კეთილი, ჭკვიანი, თავაზიანი, მაგრამ ყოველთვის ვაღწევთ კი მიზანს? სამწუხაროდ, ყოველთვის ვერა, და როცა ამას თვალნათლივ დავინახავთ, უმეტესად ვცდილობთ თავი ვიმართლოთ, ყველაფერი ისევ "ძნელად აღსაზრდელ", "მძიმე", "ცუდ" ბავშვს გადავაბრალოთ, თუმცა კი ჯობს სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ჩვენს თავს ვკითხოთ: ხომ არაფერი გამოგვეპარა? როდის სად მოგვივიდა შეცდომა, რა ვერ გავითვალისწინეთ?

ბავშვის ფსიქოლოგიის ყველა სპეციალისტი გეტყვით, და ამ სფეროში ჩატარებული სერიოზული მეცნიერული გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ "ცუდი" ბავშვები არ არსებობენ. არსებობს და ძალიან მწვავედაც დგას მხოლოდ ცუდი მშობლის პრობლემა.

ბავშვის აღზრდის საკითხებზე უამრავი ნაშრომია დაწერილი. შემუშავებულია არაერთი მეცნიერული თეორია. მშობლებს ურჩევენ, აფრთხილებენ, განუმარტავენ, მაგრამ... ვრჩებით ბავშვთან პირისპირ და ვრწმუნდებით, რომ ყველა კრიტიკულ ვითარებაში გამოსავალი თავად ჩვენ უნდა ვიპოვოთ. ცხოვრება ხომ ძალზე მრავალფეროვანია, ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბება კი – ძალზე რთული, ინდივიდუალური პროცესი.

ბავშვის სწორი აღზრდის უპირველესი პირობაა ურთიერთგაგება მშობლებსა და შვილს შორის, დაფუძნებული ბავშვის სიყვარულზე, მისი პიროვნების პატივისცემაზე. და კიდევ, არის დებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაც ეჭვს არ იწვევს და რომელთა დაცვაც ყველა ვითარებაში აუცილებელია.

უნდა გვახსოვდეს:

არ შეიძლება ბავშვის ცემა.

არ შეიძლება ბავშვის პიროვნების შეურაცხყოფა.

თქვენ ალბათ იტყვით, ვითომ რა უშავს, ბავშვი ხანდახან რომ გაიტყიპოს კიდეცო! მშობლების უმეტესობა აღზრდის ამგვარ "მეთოდში" საზიანოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ ეს მცდარი აზრია, რომელსაც სასიკეთო შედეგი არ მოაქვს. მოდით, წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: თქვენი სამი-ოთხი წლის ბიჭუნა იატაკზე გაწოლილა და კუბიკებით კოშკს აშენებს. თქვენ გინდათ ბავშვი ადგეს, კუბიკებს თავი ანებოს და ხელები დაიბანოს. ბავშვი თამაშს განაგრძობს, შეიძლება ვერც გაიგონა, რომ დაუძახეთ.

ასე მეორდება რამდენჯერმე – ბოლოს თქვენ უკვე წონასწორობას კარგავთ, ბავშვს მივარდებით, წამოაგდებთ, გატყეპთ და ძალით გაგყავთ სააბაზანოში. ბიჭუნა ცდილობს წინააღმდეგობა გაგიწიოთ, ცოტას იტირებს კიდეც, მერე გაიბუტება და კონფლიქტიც ამით მთავრდება. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ასე გგონიათ, იმას კი აღარც უკვირდებით, როგორ აღიქვა პატარამ თქვენი საქციელი, და როცა ბიჭუნა თქვენს თვალწინ თავის პატარა დაიკოს ან ძამიკოს მუშტს გამეტებით ჩასცხებს, თქვენ მას ამ "მხეცობისათვის" კიდევ სცემთ, თან ჭკუას ასწავლით, რომ უმცროსის ცემა არ შეიძლება. როგორ გგონიათ, დაგიჯერებთ ამას ბავშვი? იფიქრებს, რომ სამართლიანად დასაჯეს? თუკი თქვენ გაქვთ უმცროსის ცემის უფლება, მას რატომ არ უნდა

ჰქონდეს... ესე იგი, უმცროსის ცემა შეიძლება, თქვენი სიტყვები კი მხოლოდ ტყუილი და თვალთმაქცობაა. ბავშვმა შეიძლება სიტყვებით ვერ გამოხატოს ის, რასაც გრძნობს, მაგრამ თქვენი ქცევის ეს ორმაგი სტანდარტი მას ძალიან ატკენს გულს. ბავშვს ეჩნდება ეჭვი, რომ თქვენ ის არ გიყვართ, მისი ლაიკო და ძამიკო კი გიყვართ. ბიჭუნა დარწმუნებულია, რომ მას უსამართლოდ ჩაგრავენ, რომ ის მარტოა მთელ ქვეყანაზე და იძულებულია თვითონ დაიცვას თავი. მასში ილვიძებს შურისძიების სურვილი. იგი გადაწყვეტს მიუზღოს სამაგიერო – ოღონდ მშობლებისაგან ფარულად. ასეთი განცდები ძალზე მძიმეა ბავშვისათვის, აბოროტებს მას, ამახინჯებს ბავშვის პიროვნებას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი დახმარება დამწვრობის დროს

ჩვენს ყოფაში კვლავ გაჩნდა ნავთქურები, ღუმელები, ელექტროქურები, და ამით ბავშვებისათვის დამწვრობის საფრთხემ კიდევ უფრო იმატა.

დამწვრობის დროს ძირითადად ზიანდება კანი, მაგ ად ამას მოჰყვება რეაქცია მთელი ორგანიზმის მხრივ. დამწვრობა შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის იყოს: I ხარისხის – კანი გაწითლებული და შეშუპებულია, II ხარისხის – წარმოიქმნება ბუშტი, რომელიც სავსეა მოყვითალო სითხით. III ხარისხის – დამწვარ ადგილს სცილდება მკვდარი ქსოვილება. IV ხარისხის – ქსოვილები დანახშირდება.

დამწვრობის ადგილებში წარმოიქმნება ქსოვილის დაშლის შხამიანი პროდუქტები, რომლებიც სისხლის საშუალებით მთელ ორგანიზმს მოედება და წამლავს მას. დამწვარ ზედაპირზე ხვდება ბაქტერიები, დამწვარი იარა შეიძლება დაჩირქდეს, იარა სველია, სდის ქსოვილიანი სითხე, შეიძლება განვითარდეს ექსიკოზი – ორგანიზმის მიერ წყლის დაკარგვა, რომლის დროსაც აუცილებელია ზომების მიღება. დამწვრობა ძალიან მტკივნეულია, დიდი ზომის დამწვრობის დროს გასათვალისწინებელია შოკის საფრთხე.

დამწვრობის მკურნალობა აუცილებელია სამკურნალო დაწესებულებაში. დამწვრობის ბუშტის გახვრეტა, ქსოვილების ნაფლეთების მოცილება, დამწვარ ადგილზე რაიმეს წასმა ან მოყრა დაუშვებელია. დამწვრობის ადგილი აუცილებლად ექიმმა უ დაამუშაოს. მხოლოდ მცირე ზომის – ბავშვის ხელისგულზე ნაკლები ფართობის I ხარისხის დამწვრობის დროს შეიძლება ჩვენვე გავუწიოთ დახმარება ბავშვს - ჩავაყოფინოთ დამწვარი ადგილი ცივ წყალში ან ვასხათ ცივი წყალი 10-15 წუთის განმავლობაში. ყველა სხვა შემთხვევაში ბავშვი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში. ტრანსპორტირების წინ დამწვარ ადგილზე დავაფაროთ სუფთა ღოლბანდი ან ზეწარი, ბავშვს დავახუროთ თბილი საბანი, დავალევინოთ თბილი ჩაი, წვენი, მინერალური წყალი.

ძვირფასო მშობლებო! მოდის გაზაფხული, როდესაც მზით დამწვრობის საფრთხე განსაკუთრებით დიდია თოვლიან მთაში. შეიძლება განვითარდეს თვალების დამწვრობა. გახსოვდეთ, თოვლზე, მზეში ბავშვი აუცილებლად მზის სათვალეს უნდა ატარებდეს.

# მუჭა ნახევარა

ქართული ხალხური ზღაპარი

ედუარდ ამბოკაძე



## მიკროკალკულატორი




დავალებების შესრულების დროს მიკროკალკულატორის გამოყენება არ შეიძლება. მიკროკალკულატორი შეგიძლიათ გამოიყენოთ დავალების შესრულების შემდეგ, პასუხის სისწორის შესამოწმებლად. მიკროკალკულატორით გასართობების გამოგონებაც შეიძლება. გავეცნოთ ერთ მათგანს. ქართული ასოები ასე დავნომროთ: ა-1, ბ-2, გ-3, დ-4, ე-5, ვ-6, ზ-7, თ-8, ი-9, კ-0,

მიკროკალკულატორით გამოთვალეთ შემდეგი გამოსახულებები:

21X93+38;

46X45+75;

450X190+179;

თუ პირველ პასუხში ციფრებს შესაბამისი ასოებით შეცვლით, მიიღებთ ყველასათვის ძვირფას და კარგად ცნობილ წინადადებას (რომელს?); მეორე გამოსახულების პასუხი მოგცემთ "ბადეს"; ხოლო, თუ მესამე გამოსახულებასაც გამოიანგარიშებთ, ბადეს "თევზიც" ამოჰყვება.

სავარჯიშო.

ა) ქართული ანბანის პირველი ათი ასოს მეშვეობით ჯერ შეადგინეთ მარტივი სიტყვები, ხოლო შემდეგ მათი შესაბამისი არითმეტიკული გამოსახულებები.

ბ) შეეჯიბრეთ ერთმანეთს, კალკულატორის მეშვეობით ვინ უფრო ნაკლებ დროს მოანდომებს ერთი მარტივი სიტყვისა და მისი შესაბამისი გამოსახულების შედგენას.

რომანოზ დანელია





„დილის" ბიბლიოთეკა
ნახატები თამარ ქალდანისა









ალარ იქნება და თქვენც სამუდამოდ დაგიხსნით ტანჯვისაგანო.

მხეცებმა გულიანად გადაიხარხარეს: ვერ უყურებთ ამ შიშარასა და უძლურს, როგორი ტრაბახი სცოდნიაო!

კურდღელმა ცოტათი დაიგვიანა. ლომს ძლიერ მოსწყინოდა, თვალების ბრიალით და კბილების კაწკაწით მოელოდა სადილს და თანაც ფიქრობდა ბუნაგიდან გამოსვლას, მხეცებში გარევას. ამ დროს გამოჩნდა კურდღელი: შიშისაგან სულ ძაგძაგებდა. ლომმა მრისხანედ გადახედა და სასტიკად დაუყვირა: — სად იყავ

ჯერი მიდგა კურდღელზე, უნდა წაეყვანათ ლომთან სასადილოდ.

რაკი ჩემი რიგია, რა გაეწყობა! გამიშვით მარტო მე და გიჩვენებთ, რომ საღამოს ლომის სახსენებელიც



თუ სწორად დაკეცავთ და გამოჭრით, მიიღებთ პატარა ლამაზ წიგნს

ერთ ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები. როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა: ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა.

შეკრბნენ მხეცები მოსალაპარაკებლად, როგორ დავაღწიოთ თავი ლომის ბრჭყალებსაო. დიდი ხნის







თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს: დავუნიშნოთ ლომს სამუდამო სარჩო, ჩვენვე მივუტანოთ და ვთხოვოთ, თავი დაგვანებოს და ნუ გვაფრთხობს ყოველდღეო. წავიდნენ და ეს დადგენილება ლომს მოახსენეს. ლომი დათანხმდა, მხოლოდ პირობა დაუდო — ერთი წუთიც არ გადააცილოთ დანიშნულ დროს, თორემ დაგეცემით და ერთიანად ამოგჟლეტთ ყველასო. ამნაირად, მხეცები სათითაოდ ყოველდღე მიჰგვრიდნენ ლომს რომელსამე ცხოველს.



ამდენ ხანსო? — დიდო ბატონო, — კრძალვით მოახსენა კურდღელმა, — თქვენთან ნადირი მომყავდა, გზაზე მეორე ლომი შემხვდა, გამომტაცა და ჩაათრია ღრმა ღელეში, აქ ახლოს რომ არისო, — აბა, მიჩვენე, სად არისო? — უთხრა ლომმა. კურდღელი გაუძღვა, მიიყვანა ჭასთან და უთხრა: — აი, ბატონო, აქ არის, მაგრამ [illegible] მე მარტო ვერ ჩავიხედავ, ხელში ამიყვანეთ და ერთად ჩავიხედოთ.

ლომმა აიყვანა კურდღელი და ერთად ჩაიხედეს ჭაში. ჭის წყალში გამოჩნდა ლომისა და კურდღლის ლანდი:







ლომს კურდღელი აეყვანა და ქვემოდან ზევით ამოიჭყიტებოდა. ლომმა კურდღელი ფიცხლავ გაუშვა, ჩახტა ჭაში მტრის დასასჯელად და კურდღლის წასართმევად, მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო.

გაიგეს მხეცებმა ეს ამბავი თუ არა, შეექნათ დიდი მხიარულება, რომ მოიშორეს თავიანთი მოსისხლე მტერი, კურდღელს კი დიდი მადლობა გადაუხადეს.

ბეჟან სვანიძე

## შველი

უცებ დასცქვეტს ყურებს შველი,
თვალებს გაიფართოვებს,
ტყეს დაბურულს ისე შვენის,
ისეთ ლაზათს ათოვებს,
ამკობს ისე უსაშველოდ,
ავ თვალს მოაჯადოვებს...
შველს უტყეოდ, ტყეს უშველოდ,
ღმერთი როგორ დატოვებს?!



ცირა ქიტიაშვილი

## ჯიუტი

შენ გეფერებით ყველაო
დათუჩა ბაჯბაჯელაო,
ნეტავი საით გარბიხარ?
იარე ნელა, ნელაო.
გარიგებს დედა, დიდედა,
შენ პატარა ხარ ჯერაო,
მაინც ჯიუტი იზრდები
მამისაც არა გჯერაო.
შეგაკრთობს ორბი, არწივი,
დაგედევნება მელაო
თუ კლდეზე გადავარდები,
გაგვიჭირდება შველაო.
გახსოვდეს, გაუგონარმა
ცხოვრება გაიძნელაო,
გამგონემ თვითონ იხარა
მშობელიც ასახელაო.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

# „დილის“ მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმი ხომ იცით, რაც არის!? ზოგს იქნებ სათამაშოების მუზეუმი მაინც გინახავთ, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ქვეყნის თოჯინები: მეჩონგურე ქალთა კრებული ან თოჯინა, რომელიც საპნის ბუშტებს უშვებს... ეთნოგრაფიულ მუზეუმში ნახავთ, მაგალითად, ისეთი სახლის მაკეტს, სადაც დიდი ხნის წინათ ცხოვრობდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ბინადარნი, ჭურჭელს თუ სამუშაო იარაღს, ტანსაცმელს თუ ფეხსაცმელს, რომელსაც ისინი ხმარობდნენ... სამხატვრო მუზეუმებში მხატვრების ნამუშევრებია გამოფენილი...

რას გაგაცნობთ "დილის" მუზეუმი? "დილა" ქართული საბავშვო ჟურნალია. ამიტომ "დილის" მუზეუმში ნახავთ ქართული საბავშვო ჟურნალების ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპონატებს.

შევაბიჯოთ ჩვენს მუზეუმში. იგი იხსნება ზუსტად 115 წლის წინანდელი მასალებით.

1881 წელი, გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ანთიმოზ ჯუღელმა გამოსცა პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი — “ყმათათვის საკითხავი წიგნი“ — “წყარო“. “ივერია“ წერდა: “ჩვენს პატარა ბავშვებს... ექნებათ ოთხი წიგნი, რომელთაც წელიწადის დროთა სახელები ჰქვიანთ. საზოგადო მათი სახელი არის წყარო, ზამთარ-ზაფხულ უშრობელი“.

ვინ იყო ანთიმოზ ჯუღელი? იგი ქართულ ენას ასწავლიდა იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის სოფლებში, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში “დროებაში“, “ივერიაში“... გარდა ამისა თხზავდა და თარგმნიდა საბავშვო ნაწარმოებებს, რომლებიც “წყაროშიც“ შეიტანა.



“წყაროს“ ყველა ნომერში იყო წელიწადის დროის შესაფერისი ლექსები რაფიელ ერისთავისა. რ. ერისთავი ის კაცია, ვინც ერთი მეორეზე უკეთესი საბავშვო ლექსები დაწერა: “სწავლობს გიგლა ტიტინა“ თუ “სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“, “ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და სადაური“ თუ “ყურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის“. მან პირველმა გადმოაქართულა რუსი მწერლის, კრილოვის იგავარაკები “ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, “მაიმუნი და სარკე“ და სხვები; დიდი პოეტის, პუშკინის ზღაპარი “მებადური და ოქროს თევზი“; შეკრიბა და გამოსცა ქართული ხალხური ლექსები, გამოცანები, ანდაზები... და კიდევ მრავალგვარი ამაგი დასდო ქართულ ეროვნულ საქმეს-შეთხზა ლექსები და პოემები ქართველი ხალხის ისტორიიდან, დაწერა სცენები და პიესები თავის თანამედროვეთა ცხოვრებაზე, შეისწავლა და ყველას გააცნო სხვადასხვა კუთხის ქართველების წეს-ჩვეულებები... „წყაროსათვის“ რ. ერისთავმა დაწერა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ამბავი.



გარდა რ. ერისთავისა, ა. ჯულელმა ჟურნალში მოიზიდა იმ დროის გამოჩენილი მწერლები. “წყაროში“ დაიბეჭდა პირველად ნიკო ლომოურის ცნობილი ნაწარმოებები: მოთხრობა “პატარა ქაჯანა“ და ლექსი “ყინვა და პატარა მოწაფე“. ჟურნალში იყო ქრისტეს ცხოვრების აღწერაც, რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებიც (აკაკი წერეთლის “აღდგომა“); იყო ცხოვრების უკუღმართობის — სიმდიდრისა და სიღარიბის ამსახველი ნაწერები; მოთხრობები ცხოველებზე; ხალხური ლექსები, სახუმაროები, ანდაზები; გონების სავარჯიშო გამოცანები და სხვა.

ერთი სიტყვით, “წყარო“ იყო დასაბამი ქართული საბავშვო ჟურნალისტიკისა.



“წყაროს“ შემდეგ, 1883 წლამდე ქართული საბავშვო ჟურნალი აღარ გამოსულა. 1883 წელს კი ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა ჟურნალი “საყმაწვილო ბაღი“ — სამწუხაროდ ერთადერთი ნომერი.

ღარიბი თბილისელი ხელოსნის შვილმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, უსახსრობის გამო, 13 წლისამ დაანება თავი სკოლას, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილით წაქეზებული, თვითგანათლებას დაეწაფა... მისი ოცნება იყო ცოდნის საყოველთაო გავრცელება... ამისათვის დააარსა ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა და აქ დაბეჭდილ წიგნებს უფასოდ ავრცელებდა ღარიბ მოსახლეობაში. წიგნების გამოცემაში მას ეხმარებოდნენ ქართველი ძველმოქმედნიც — დავით სარაჯიშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, ზუბალაშვილები. თვითონ კი ზურგზე მოიკიდებდა წიგნებს და სოფლიდან სოფლად დაჰქონდა.

იგი ეძებდა და აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს (ერთხელ ერთი თავადის ქალის გადაყრილი თითქმის 25 კილოგრამი წონის ხელნაწერი შეისყიდა ამ ქალბატონის შინამოსამსახურისაგან; ერთხელაც ერთი მეწვრილმანისაგან იყიდა ხელნაწერი, რომელსაც ეს ვაჭარი ქაღალდის პარკებად ხევდა. ასე გადაარჩინა მან მეფე გიორგი მეცამეტის ძის, თეიმურაზ ბატონიშვილის თარგმნილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს “განსჯანი კეთილისა და ბოროტისა“). ზაქარია ჭიჭინაძემ პირველმა დასტამბა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, იგი ცდილობდა მიეკვლია ბარათაშვილის პორტრეტისათვის...

1878 წელს საქართველოს შემოუერთდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული მიწის — აჭარის ნაწილი. და ზაქარია ჭიჭინაძემ განიზრახა გამაჰმადიანებულ ქართველებს შორის დედაენის აღდგენა — ამისათვის შეიტანა და უფასოდ გაავრცელა სამაჰმადიანო საქართველოში ქართული წიგნი და ქართული ანბანი.

ზ. ჭიჭინაძემ საქართველოში მოგზაურობისას ჩაიწერა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და შემდეგ წიგნებად გამოსცა. დიდია მისი დამსახურება “შაურიანი“, ესე იგი ღარიბებისათვის ხელმისაწვდომი, იაფი წიგნების გავრცელებაში.

დიდმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ამ შესანიშნავ ერისკაცს — “წიგნის რაინდს“, და შეადარა ის ქართულ ეროვნულ ხეს, რკინასავით მაგარ ძელქვას (“ძელქვა ჩვენის ეროვნულის სულისა“).

უანგარო და თავგანწირული შრომისათვის, ერის თავგამოდებული სამსახურისათვის ქართველობამ ზ. ჭიჭინაძის ნეშტი ჩვენს დიდ მოღვაწეთა უწმინდეს სავანეს — მთაწმინდას მიაბარა.

ბავშვებო! თქვენ უსათუოდ დაკვირვებიხართ წელიწადის დროთა ცვლას; იცით, რომ ყოველ დროს თავისი ხიბლი, თავისი მომაჯადოებელი სილამაზე აქვს. წლის რომელი დროც არ უნდა იყოს — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, თქვენ





საინტერესოა, თქვენ რას აკეთებთ წელიწადის სხვადასხვა დროს? ყურადღებით დააკვირდით ამ სურათს, მისი დახმარებით და თქვენი



არც საკეთებელი გამოგელევათ და არც გასართობი. ამ სურათზე წელიწადის სხვადასხვა დროა ასახული. ეს პატარები წლის დროის შესაბამისად საქმიანობენ — ერთობიან, სწავლობენ, ისვენებენ.





ფანტაზიით შეადგინეთ პატარა მოთხრობა, შეგიძლიათ შეეჯიბროთ ერთმანეთს — ვინ უკეთეს მოთხრობას დაწერს.





მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედამიწა, მთვარე და მზე

სამყაროში უთვალავი ციური სხეულია: ვარსკვლავები, პლანეტები, კომეტები და სხვა, უახლოესნი მათ შორის არიან დედამიწა, მთვარე და მზე.

დედამიწა სიცოცხლის აკვანია — ზღვებით, ოკეანეებით, მთაგრეხილებით, უდაბნოებით, მაღლობ-დაბლობებით, მდინარეებითა და ტბებით დამშვენებული. აქ დაიბადა და განვითარდა გონიერ არსებათა საზოგადოება — ჩვენი ცივილიზაცია.



მთვარე ჩვენი ღამის მნათობია, დედამიწის იდუმალი თანამგზავრი, მწყემსების გზამკვლევი, პოეტთა შთაგონების წყარო, უძველეს მეცნიერთა და ქურუმთა შესწავლის საგანი, ჩვენი ფანტაზიის მკვებავი და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი.

მზე კი სიცოცხლის წყაროა, ელვარე სხივებით ანათებს და ათბობს დედამიწის ზედაპირს, წყლის საფარს, ჰაერს; მისი ენერგია აცოცხლებს ტყეებს, ზრდის მოსავალს, ამოძრავებს ტალღებს, იწვევს ქარსა და ქარიშხლებს, წარმართავს ამინდს და მთელს ჩვენს ცხოვრებას.

მზის ამობრწყინებით იწყება დღე, მისი ჩასვლა კი ღამის დადგომას მოასწავებს. მზის სხივების ატმოსფეროში შთანთქმა, გაბნევა და გარდატეხა იწვევს აისისა და დაისის თვალწარმტაც მოვლენებს, ცისარტყელას საოცარ ფერებს, ღრუბელთა უჩვეულო,ნაირგვარი ფორმების თვალისმომჭრელ ფეიერვერკს, ატმოსფერულ დინებებს და სხვ:

დიდი ხანია დადგენილია, რომ დღე-ღამის ცვლას, მთვარის ფაზებს — მის გავსებას, მილევას, გაუჩინარებას და ხელახლა გამოჩენას ნამგლის სახით; ასევე გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის მუდმივ გამეორებებს იწვევს სამი გრანდიოზული კოსმოსური მოვლენა: დედამიწის ბრუნვა, მთვარის მოქცევა დედამიწის ირგვლივ და დედამიწის მოქცევა მზის გარშემო.

დედამიწა რომ არ ბრუნავდეს, შეწყდებოდა ვარსკვლავიერი ცის ბრუნვა, მზის ჩასვლა-ამოსვლა; ზოგან მუდმივი ღამე დაისადგურებდა, სხვაგან კი მარადიული დღე.

დედამიწის ღერძი რომ ზომიერად დახრილი არ იყოს ჩვენი პლანეტის ორბიტის სიბრტყისადმი, არ იქნებოდა სეზონთა ცვლა: ზოგან მარადიული გაზაფხული იქნებოდა, ზოგან მუდმივი ზამთარი და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-6293



მთვარემ რომ შეწყვიტოს დედამიწის ირგვლივ სრბოლა, უმალ დედამიწაზევარდნას დაიწყებს, თანდათან აჩქარდება, ჩვენამდე არსებულ 380 ათას კმ-ს სულ რაღაც 6 დღეში დაფარავს და დაენარცხება დედამიწას. თუ რას გამოიწვევს ეს, ამის მისახვედრად შეგახსენებთ, რომ მთვარის დიამეტრი (ზომა) 3700 კმ-ია, ე. ი. დაახლოებით ევროპის ზომის ოდენა.



ხოლო დედამიწამ რომ შეწყვიტოს ორბიტული სვლა, იგი მზარდი აჩქარებით დაექანება მზისაკენ და ორ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ კოლოსალური სიჩქარით ჩაიკარგება მზეში – დედამიწაზე 109-ჯერ დიდ, გავარვარებულ, აირულ სხეულში.

მაგრამ სინამდვილეში ეს მოვლენები არ მოხდება, რადგან მთვარე უსწრაფესი თვითმფრინავის სიჩქარით (წამში 1 კმ) მიჰქრის დედამიწის გარშემო, დედამიწა კი ამაზე 30-ჯერ სწრაფად მოძრაობს მზის ირგვლივ ორბიტაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ ნივთიერების რაოდენობით ანუ მასით დედამიწა 81-ჯერ ჭარბობს მთვარეს, სამაგიეროდ 333 ათასჯერ ჩამოუვარდება მზეს. მაგრამ მთვარის და დედმიწის სიჩქარეები თუნდაც ორჯერ რომ გაიზარდოს, მთვარე გაექცევა დედამიწას და მზის პლანეტად იქცევა, დედამიწა კი გაუსხლტება მზის მიზიდულობას და კოსმოსის უსაზღვროდ შორ, გაყინულ სივრცეებში დაიწყებს დაუსრულებელ ხეტიალს, რასაც სიცოცხლის დაღუპვა მოჰყვება.



საბედნიეროდ მსოფლიო მიზიდულობის კანონი აწესრიგებს ციურ სხეულთა მოძრაობას და გამორიცხავს ამგვარ შეჯახებებს ან ორბიტიდან გასხლტომებს!

"დილის" მომავალ ნომრებში უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ ციურ სხეულებსა თუ მოვლენებს.






მხატვარი გია ლაფაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გამოცანები

**მიხეილ ხარიტონაშვილი**

მთას თოვლის ქუდი მოჰხადა
ოქროსთმიანმა ასულმა,
მერე ბარისკენ დაეშვა
და მდინარეში გასცურა...
მიდამო გამოაღვიძა
მისი მათრახის ტკაცუნმა.

**გიორგი მარცვალაშვილი**

წალმა ბრუნვით კარგა მიმყავს
ქალაქის და სოფლის საქმე,
მათი ყოფნის დარაჯი ვარ,
მუქთახორას ვერ დამარქმევ.
ძირს ქვა მიდევს ხელშემწყობი,
გარეშემო რასაც ვუვლი,
ჩვენი შრომით ხარისხდება
საარსებო ..........

**გრიგოლ რურუა**

ქურდია და თან მშიშარა, ჩიტი არის ჩვენებურა
მარცვალს კენკავს, ხილს კი კორტნის, ვინ იქნება ეს?
......



დილით, საუზმეზე ლილიპუტებმა გულივერს ერთი ჭიქა ყავა მიართვეს. მან მოსვა ჭიქის ნახევარი და სთხოვა მასპინძლებს, ჭიქაში რძე ჩაემატებინათ. მოსვა ნარევის მესამედი და კვლავ ითხოვა ჭიქის რძით შევსება. ახლა ნარევის მეექვსედი შესვა და ჭიქა ისევ რძით გაავსებინა. ბოლოს ჭიქა დაცალა და მასპინძლებს მადლობა მოახსენა. რა უფრო მეტი დალია გულივერმა — ყავა თუ რძე?

მხატვარი ნანა იოსელიანი

**შეცდომების გასწორება**

"დილის" იანვარ-თებერვლის ნომრის მე-9 გვერდზე გაიპარა ორი შეცდომა: მეორე სვეტის პირველი აბზაცის ბოლო სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: მოხდა 337 წელს. მეორე აბზაცის მესამე სტრიქონში კი XII საუკუნის ნაცვლად უნდა იყოს XI საუკუნე.

ხომ არ დაგავიწყდათ, წინა ნომერში გთხოვეთ, რომ თქვენც რამდენიმე სიტყვა დაამატეთ მოცემულ ასოზე მოწვდილ სიტყვებს – თუ გინდათ ლექსიკონებში მოიძიეთ, ან თუ ისე იცით რამე სხვა იშვიათი, თუნდაც კუთხური სიტყვა, ის დაამატეთ; შეგიძლიათ ზოგი სიტყვის მოშველიებით პაწია მოთხრობა თუ ამბავიც შეადგინოთ; გარდა ამისა, ნუ შემოიფარგლებით ტექსტში მოცემული შეკითხვებით; ის კი არა, თუ გსურთ, ზოგს თავიც აარიდეთ, ოღონდ სამაგიეროდ თვითონ მოიფიქრეთ, რაც მოგაფიქრდებათ ამ სიტყვებთან დაკავშირებით სერიოზული, სახალისო თუ სახუმარო. თქვენი ნამუშევრები რედაქციაში გამოგვიგზავნეთ და გპირდებით, რომ საუკეთესოები გამოქვეყნდება 1996 წლის "დილის" ბოლო ნომერში.

# ლექსიკონი

## ბ

**ბაბანი** – "სიცივის აყოლის ხმა".

**ბადია** – დიდი ჯამი.

იქნებ ამ სახის სხვა ჭურჭელიც დაასახელოთ. იქნებ იცოდეთ, რ ომელი ჭურჭელი რა მასალისაგან მზადდება!

**ბაზი** – ჰქვია მონადირე ფრინველებს – შევარდენს, გავაზს, ქორს, მიმინოს. აქედან მოდის სიტყვა **ბაზიერი**, ალბათ იცით, რას ნიშნავს ბაზიერი? ჩვენც აგვიხსენით.

ბაზს ეძახიან აგრეთვე სიმწიფეში შესულ მარცვლეულს (ბაზი სიმინდი, ბაზი ლობიო...)

**ბალავარი** – სახლის საძირკველი. კედლის საყრდენად ჩატანებული დიდი ლოდი. შენობის საძირკველს, ფუძეს სხვა სახელებიც აქვს, აბა რა სახელები?

**ბანდი** – წვრილი თოკი ან თასმა რაიმეს სახლართად. ბანდით იყო ამოსხმული ძველად შინნაკეთი სულ უბრალო ფეხსამოსი – ქალამანი. აგრეთვე მთაში სასიარულო ბანდული. ბანდი ეწოდებოდა ჩოგნის გამოსაბანდავ, გადასაწნავ თასმასაც. ახლა თუ იცით, რით კეთდება ჩოგნის თასმა? ან რას ჰქვია დღეს ბანდი?

**ბარბითი** – მუსიკალური საკრავი – ქნარი. სხვა სიმებიანი საკრავები რომელი იცით, ძველი თუ ახალი, მოსაზიდი, ჩამოსაკრავი თუ დასაკრავი?

**ბარტყი** – ფრინველის და მწერების შვილი. იცით, ვისი ბარტყია მართვე, ხუნდი, ქულა, ბახალა, ლაპი, ჭუკი, ჭუჭული, ბჟიტი, ჩოჩორი, ფუმფლი? კიდევ რას ჰქვია ბარტყი? რას ნიშნავს სიტყვა იბარტყა?

**ბელეშა** – დალმა რქადადრეკილი საქონელი. იტყვიან აგრეთვე უხეირო, უსუფთაო, ფეთხუმ ადამიანზე. ნახეთ ამ სიტყვის სინონიმებიც, ანუ ამავე მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვები.

**ბიბინი** – "ყვავილთ ფერადობა" – ნიავისაგან ბალახის, ჯეჯილის, ყვავილთა რხევა, ღაღანი. როცა მზეში ნიავი გადაურბენს ხოლმე ყანას, მთაში იტყვიან – მზეკაბანი ირხევიანო.

**ბილი** – სიტყვაზე ზედდართული ნაწილაკი (წინათ ნართაულს ეძახდნენ), რომელიც მაგიერს ნიშნავს. მაგალითად დედობილი დედის მაგიერია, მამობილი – მამის მაგიერი, ძმობილი – ძმის, დობილი – დისა.


მთავარი რედაქტორი **ლოლო წიწნიაძე**

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო ბამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14   ტელ: 93-41-30   93-10-32

გამოდის 1904 წლიდან. ყდაზე ნახატი **თორნიკე ამბოკაძისა**

ქაღალდის ზომა 60X90   1/8   ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5   შეკვეთის № 1-2

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში ფორე მოსულიშვილის ქ. 1

ინდექსი 76055

მხატვარი ნანა იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაეხმარეთ გოჭუნებს დედასთან მისასვლელი გზის პოვნაში